“დამტკიცებულია”
სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის
2020 წლის 15.06 N 03-03 ბრძანებით

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის

სტრატეგიული განვითარების გეგმა

(2020-2026წწ.)

თბილისი - 2020წ.

სპორტის მიმართულების პროფესიული საგანათლებლო დაწესებულების მოღვაწეობა, ჩვენს ქვეყანაში 1933 წლიდან იღებს სათავეს. ამ წელს დაარსდა ქვეყნის ერთერთი უძველესი პროფესიული სასწავლებელი - ფიზკულტურის ტექნიკუმი. მოგვიანებით ტექნიკუმს მწვრთნელთა სკოლა ეწოდა. 1977 წელს კი კვლავ დაუბრუნდა ფიზკულტურის ტექნიკუმის სახელი. 2000 წელს ტექნიკუმმა სპორტული კოლეჯის სახელით განაგრძო მოღვაწეობა. 2009 წელს სპორტის კოლეჯს სტატუსი შეუჩერდა. ამ ნაბიჯით მოხდა სპორტის მიმართულებით საგანმანათლებლო პროცესის ლიკვიდაცია, რადგან ერთი წლით ადრე სტატუსი შეუჩერდა უმაღლეს სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებას. შედეგად მივიღეთ რეალობა, როდესაც შეიქმნა ძალიან მოცულობითი ვაკუუმი. კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტმა გამოიწვია უამრავი პრობლემა და პირველ რიგში ამ პროცესებმა მასობრივი სპორტის განვითარებაზე იმოქმედა.

6 წლიანი პაუზის შემდეგ, 2014 წლის გაზაფხულზე სპორტის კოლეჯს კვლავ აღუდგა სტატუსი. სპორტის კოლეჯმა 2014 წლის აგვისტოში წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და კვლავ დაიწყო საგანმანათლებლო მოღვაწეობა. პირველივე წელს სპორტის კოლეჯში მოხვედრის მსურველთა რიცხვი 3-ჯერ აჭარბებდა ადგილების რაოდენობას. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ვითარება მომდევნო წლებშიც გაგრძელდა და დღეს ჩვენს კოლეჯში 4 საგანმანათლებლო პროგრამაზე 354 სტუდენტი სწავლობს. არსებობის 85 წლიანი ისტორიის მანძილზე სპორტის კოლეჯის კურსდამთავრებული გახდა არაერთი სახელოვანი სპორტსმენი თუ მწვრთნელი, რომელთა შორის არიან მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები: ლაშა ტალახაძე, მურმან თურმანიძე, თათია ლორთქიფანიძე, ზაზა ნადირაძე, თეონა ბოსტაშვილი, სანდრო ბაზაძე, ვახტანგ ბალავაძე და სხვები.

მისია

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთადერთი სასპორტო მიმართულების პროფესიული დაწესებულების მისიაა, საეთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მასობრივი სპორტის დანერგვა/ განვითარებას და შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტისა და მოთხოვნების უზრუნველყოფას.

დასახული მისიის მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს:

1. თითოეული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარებისთვის აუცილებელ პირობებს.
2. სწავლებისა და სპორტული პროცესების ურთიერთშერწყმასა და სპორტული და მასთან დაკავშირებული დარგების საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას
3. შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებას. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, რაც პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით ხორციელდება;
4. კოლეჯი უზრუნველყოფს თანამშრომლობას პარტნიორ ორგანიზაციებთან, სპორტულ ფედერაციებთან და კლუბებთან.
5. პედაგოგებისა და პერსონალის მუდმივ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.
6. სპორტის კოლეჯი, თავისი საქმიანობით, მიზანმიმართულად ახორციელებს მასობრივი სპორტისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდას და მეტი ადამიანის ჩართულობას ამ სფეროში.

ხედვა

2030 წლისთვის სპორტის სფეროში აღმოფხვრილია პროფესიონალი კადრების დეფიციტი. სპორტის კოლეჯი, როგორც სასპორტო მიმართულების პროფესიული სასწავლებელი არის ლიდერი დაწესებულება პროფესიულ განათლებაში კავკასიის რეგიონის მასშტაბით.

ღირებულებები

სპორტის კოლეჯის მთავარ ღირებულებას პროფესიონალიზმი, გუნდური მუშაობა და ღიაობა წარმოადგენს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სამართლიანობა, თანასწორობა და ადამიანის უფლებების დაცვა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში, რასაც გუნდური მუშაობის პრინციპები და საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობა ქვია.

სტარტეგიული განვითარების დოკუმენტის შექმნის მეთოდოლოგია

სსიპ - საქართველოს ფიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის სტარტეგია გამომდინარეობს მისი ხედვიდან, აზუსტებს მას კონკრეტული მიზნით. სამოქმედო გეგმა კი სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს, სადაც ჩაშლილი და უფრო დაკონკრეტებულია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნები.

კოლეჯის ხედვასთან მიახლოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიული გეგმა იყოს:

- კონკრეტული - მკაფიოდ უნდა გვაჩვენებდეს რას გულისხმობს მიზანი;
- გაზომვადი - ის უნდა იძლეოდეს შეფასების შესაძლებლობას
- მიღწევადი და რელევანტური - სტრატეგიული გეგმა უნდა იყოს მიღწევადი, რაც დაგვაახლოვებს ორგანიზაცის ხედვასთან და მიგვიყვანს მის რეალიზაციამდე.
- დროში გაწერილი - ეს ნიშნავს, რომ უნდა განისაზღვროს როდის, რა ვადაში არის მისი შესრულება აუცილებელი
- მიზნის მიღწევის ინდიკატორი გვიჩვენებს რომ სტრატეგიული მიზანი მიღწეულია.
- ამოცანები არის ქვემიზნების „ჩაშლის მცდელობა“ კიდევ უფრო მცირე ზომის კომპონენტებად
- შესრულების ინდიკატორი - დასტურია იმისა, რომ ამოცანა მიღწეულია. იგი გვეუბნება თუ რას დავინახავთ მიზნის, ამოცანის მიღწევის შემთხვევაში;
- აქტივობები -არის ის კონკრეტული ქმედებები და დავალებები, რომლებიც უნდა შესრულდეს ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ გეგმაში მითითებული ამოცანების შესრულებისთვის
- შესრულების ვადა - შესაბამის გრაფიკში თარიღების მითითება და შესრულების რეალური ვადა;
- პასუხისმგებელი პირი - ამ გრაფაში იწერება კონკრეტულ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირი;
- გეგმის შემუშავება ხდება გუნდური ძალისხმევით. პროცესში ჩართულია დაწესებულების ყველა თანამშრომელი, როგორც ხელმძღვანელი რგოლი, ისე სხვა დაინტერესებული მხარეები.
- მონიტორინგი და შეფასება

სპორტის კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისა და მისი განხორციელების გეგმა შემუშავდა კოლეჯის ადმინისტრაციის, პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. გამოიკვეთა კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. საბოლოოდ შეჯერდა და შეჯამდა ყველა მოსაზრება და მოხდა მისი განხილვა.

ქვემოთ მოცემული SWOT ანალიზი დაედო საფუძვლად სპორტის კოლეჯის სტარატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას. ამისათვის პასუხი გავეცით 4 ძირითად კითხვას:

რა არის კოლეჯის ძლიერი მხარეები?

რა არის კოლეჯის სუსტი მხარეები?

რა შესაძლებლობები აქვს კოლეჯს?

რა საფრთხეები ექმნება კოლეჯს?

SWOT - ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• ერთადერთი სასპორტო მიმართულების პროფესიული დაწესებულებაა საქართველოში • 85 წლიანი გამოცდილება პროფესიული განათლების სფეროში მოღვაწეობის • მოტივირებული პერსონალი; • პროფესიონალი და კომპეტენტური მასწავლებლები • კარგად ორგანიზებული სასწავლო პროცესი • შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტის შევსება 70-80% კვალიფიციური კურსდამთავრებულებით • სპორტული ბაზები	• საკუთარი ფართის არ არსებობა • კვების ობიექტის არ არსებობა • საერთო საცხოვრებლის არ არსებობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მომზადება და განხორციელება • არასაბიუჯეტო ტრენინგ-კურსების განხორციელება	• კოლეჯისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საგნობრივი პროგრამის შესაბამისი მოდულური პროგრამისა და სტანდარტის არ არსებობა

• განახლებისა და განვითარების პერსპექტივა • პროფესიული კადრების გადამზადება • საქართველოს რეგიონებში სასპორტო მიმართულების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ცნობადობის ამაღლება	• ახალი მრავალფუნქციური კოპრუსის მშენებლობის გრაფიკის დარღვევა

შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

	სტრატეგიული მიზანი 1 ფორმალური განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა										
ამოცანა	განსახორციელებელი აქტივობა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
		2020	2021	2022	2023	2024	2025	2026			
ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა და შემდგომი განვითარება; პროფესიული მომზადება/გადამზადების პორგრამებისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შემუშავება, დანერგვა და შემდგომი განვითარება; მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დანერგვა	ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა	■	■	■		■	■		ავტორიზებული და დანერგილი პროგრამები	ხარისხის მართვის მენეჯერი; დირ. მოადგილე სასწავლო დარგში	
	პროფესიული მომზადება/გადამზადების პორგრამებისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შემუშავება, დანერგვა	■	■	■	■	■			ავტორიზებული და დანერგილი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები	ხარისხის მართვის მენეჯერი; დირ. მოადგილე სასწავლო დარგში	
	მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დანერგვა	■	■	■					ავტორიზებული და დანერგილი მოკლე ციკლის პროგრამები	ხარისხის მართვის მენეჯერი; დირ. მოადგილე სასწავლო დარგში	
	პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან წინარე და ძირითადი ხელშეკრულებების გაფორმება	■	■	■	■	■	■	■	გაფორმებული ხელშეკრულებები	ადამიანური რესურსების მენეჯერი	

	პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესყიდვა/ განახლება	■	■	■	■	■	■	■	განახლებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა	დირექტორის მოადგილე	
სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება	პროფესიულ პროგრამების განხორციელებაზე მონიტორინგი	■	■	■	■	■	■	■	მონიტორინგის შედეგების შესახებ რაპორტი	ხარისხის მართვის მენეჯერი	
	შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობა და ლექციებზე დასწრების გრაფიკის შედგენა	■	■	■	■	■	■	■	შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები; ლექციებზე დასწრების შევსებული ცხრილი	შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, ხარისხის მართვის მენეჯერი	
	სწავლა-სწავლების ახალი, ინოვაციური მეთოდების დანერგვა			■	■	■			სასწავლო პრცესში დანერგილი ინოვაციური მეთოდები	კოლეჯის დირექტორი; დირექტორის მოადგილე	
	სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება	■	■	■	■	■	■	■	ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები და შევსებული გამოკითხვის ფორმები. ხარისხის მენეჯერის ყოველწლიური მოხსენება	ხარისხის მართვის მენეჯერი	
	შეფასების სისტემის გაუმჯობესება და ვერიფიკაციის მექანიზმების დანერგვა		■	■	■	■			გაუმჯობესებული შეფასების სისტემა და შედეგების ვერიფიკაციის ფორმები	ხარისიხს მართვის მენეჯერი	
	საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების								საგანმანათლებლო პრგრამის განხორციელების შეფასების	ხარისიხს მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი	

	სისტემის გაუმჯობესება და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა	■	■	■	■	■	■	■	გაუმჯობესებული სისტემა; ჩატარებული გამოკითხვები, რომელიც ასახულია ხარისხის მართვის მენეჯერის ყოველწლიურ მოხსენებაში		
	სტუდენტური აქტივობების ორგანიზება/ დაგეგმვა-	■	■	■	■	■	■	■	განხორციელებული სტუდენტური აქტოვობები	დირ. მოადგილე, პროფორიენტაციის მენეჯერი	
	მეთოდური კონფერენციების ორგნიზება	■	■	■	■	■	■	■	ჩატარებული კონფერენციის ანგარიში	დირ. მოადგილე, პროფ. ორიენტაციის მენეჯერი	
	სტრატეგიული მიზანი 2 პერსონალის გადამზადება/ კვალიფიკაციის ამაღლება										
ამოცანა	განსახორციელებელი აქტოვობა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
		2020	2021	2022	2032	2024	2025	2026			
კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროგრამების განმახორციელებლების საჭიროებების კვლევა	ადმინისტრაციის თანამშრომელთა გამოკითხვა	■		■		■		■	ჩატარებული გამოკითხვის შედეგები	სასწავლო პროცესის კოორდინატორი	
	მასწავლებელთა გამოკითხვა	■		■		■		■	ჩატარებული გამოკითხვის შედეგები	სასწავლო პროცესის კოორდინატორი	
	გამოკითხვის შედეგების ანალიზი	■		■		■		■	ანალიზის შედეგების ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი	

კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება;	ტრენინგების დაგეგმვა და ჩატარება	■	■	■	■	■	■	■	ჩატარებული ტრენინგი	სასწავლო პროცესის მენეჯერი	
	მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში ჩართულობა	■	■	■	■	■	■	■	კვალიფიციური/ სერტიფიცირებული მასწავლებელები	სასწავლო პროცესის მენეჯერი	
	სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ შეხვედრებსა და ტრენინგებში მონაწილება	■	■	■	■	■	■		ჩატარებული შეხვედრები და მასში მონაწილეობა	სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი	
	ტრენერების მოწვევა	■	■	■	■	■			დაგეგმილი და განხორციელებული შეხვედრები	სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი	
	სტრატეგიული მიზანი 3. დაგეგმილი სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები და ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემენა/განახლება										
ამოცანა	განსახორციელებელი აქტივობა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
		2020	2021	2022	2032	2024	2025	2026			
ახალ შენობაში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების შესრულება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემენა/განახლება; ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა	ახალ ფართში სარემონტო სამუშაოების შესრულება	■				■	■	■	განახლებული და გარემონტებული აუდიტორიები, სველი წერტილები	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელი პირი	
	ინფრასტრუქტურის განვითარება-გაფართოება	■			■	■	■		ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები	დირექტორი; დირექტორის მოადგილე	

	სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესება	■			■				სრულად ადაპტირებული გარემო	დირექტორის მოადგილე	
	ვებ-გვერდის განვითარება; ინფორმაციის შეუფერხებლად გავრცელების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ამაღლება	■	■	■	■	■	■	■	განხლებული ვებ-გვერდი	ვებ-გვერდის გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი, PR მენეჯერი	
	კომპიუტერული კლასის ახალი კომპიუტერებით მომარაგება	■	■		■	■			შეძენილი და განახლებული კომპიუტერები	სასწავლო პროცესის მენეჯერი, IT სპეციალისტი	
	ბიბლიოთეკის წიგნადი და არაწიგნადი ფონდის შევსება. სასწავლო ლიტერატურის განახლება	■	■	■	■	■	■	■	ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი; მიღება-ჩაბარების აქტები;	ბიბლიოთეკარი; ბუღალტერი; შესყიდვები	
	სტრატეგიული მიზანი 4. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა; კოლეჯის ცნობადობის ამაღლება და სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროცესში										
ამოცანა	განსახორციელებელი აქტივობა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
		2020	2021	2022	2032	2024	2025	2026			
ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, ახალი პროექტებში ჩართულობა, შრომის ბაზრის კვლევა	ახალი პროექტების დაგეგმვა/განხორციელება		■	■	■	■			განხორციელებული პროექტები	დირექტორი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი	
	პროფესიული განათლებით დაინტერესებულობის	■	■	■	■	■	■	■	სტუდენტებისა და მსმენელების გაზრდილი რაოდენობა	პროფორიენტაციის მენეჯერი; HR მენეჯერ; PR მენეჯერი	

	გაზრდა და სტუდენტ/ მსმენელების მოზიდვა										
	პრაქტიკის ობიექტების მოძიება და დამსაქმებელთან მჭიდრო ურთიერთობა	■	■	■	■	■	■	■	ახალი პრაქტიკის ობიექტებთნ გაფორმებული მემორანდუმები;	პროფორიენტაციის მენეჯერი	
	გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა		■	■	■	■	■		პროგრამებში მონაწილეობა	სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი	
პროფორიენტაციის ღონისძიებები და სპორტის კოლეჯის ცნობადობისა და პოპულარობის ამაღლება	რეკლამისა და სარეკლამო ბუკლეტების წარმოება/გავრცელება	■	■	■	■	■	■	■	სარეკლამო რგოლები; ბუკლეტები და ფლაერები	პროფორიენტაციის მენეჯერი; HR მენეჯერ; PR მენეჯერი	
	საზოგადოებასათან ურთიერთობის სისტემის სრულყოფა	■	■	■	■	■	■	■	სპორტის კოლეჯის გაზრდილი ცნობადობა საზოგადოებაში	პროფორიენტაციის მენეჯერი; HR მენეჯერ; PR მენეჯერი	